წელიწადი 1-ლი   ვაჭ. ფასი 10 კ.   ტელეფონი № 76.   კვირა ივლისს 23 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ...

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისში მ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 86 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 86

ელენე, ნატალია, სერგი, არკადი და ლუკა ლუკას ასულნი და ძენი ბახტაძენი ამით იუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ივლისს, ქ. ხონში, წმ. გიორგის ეკლესიაზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი დედის

**ქრისტინე დავითის ასულის ბახტაძისა**

სულის მოსახსენებლათ.

---

მწუხარებაში მყოფი მამა ვასილ მერაბის ძე ლომინაძე და დედა ოლღა ლომინაძე, დები: ტასო ბერიძისა და მარო ლომინაძე და სიძე კალისტრატე ბერიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი შვილი და ძმა მათი ნაფიცი ვექილი

**სერგო ლომინაძე.**

ქუთაისში ჩამოსვენების დღე ცალკე გამოცხადდება.

---

22 ივლისს ქ. ქუთაისში ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა პრაპორჩიკი

**ანტონ ყარამანის ძე ლორთქიფანიძე,**

რასაც გმოაუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა მარიამ დავითის ასული; შვილები ნინა, თალია, სუსანა, მიხეილი, შოთა, ვლადიმერი და ირაკლი; ძმები დიმიტრი და შალვა და ბიძა მელიტონ დავითის ძე ლორთქიფანიძენი. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს შვიდ საათზე: (ორპირის ქუჩა, საკუთარი სახლი) გასვენება სოფელ ჩუნეში დასაკრძალავათ დანიშნულია კვირას, 23 ამა ივლისს, დილის ცხრა საათზე. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

---

მეუღლე ფრანცისკი ლოჰინაძისა, მშობლები: ვასილი და ოლღა ლომინაძეები, დები: ანასტასია ბერიძისა და მარია ლომინაძე, სიძე კალისტრატე ბერიძე უზომო დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაიცვალა

**სერგო ვასილის ძე ლომინაძე**

გარდაცვალებულს წამოასვენებენ ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან 23 ივლისს, დილით 9 საათზე დაკრძალვა მოხდება სოფ. ამაღლებაში (ქუთ. მაზ.) 27 ივლისს.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 20, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

**ბარგი ამა ქვეყნისა**

მხატვრული დრამა 4 ნაწ. მონაწ. ე. პავლოვისა, პანოვის და რიმსკის.

ანონსი: ივლისის 24 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**რევოლუციონერი**

თანამედროვე პარტიული ცხოვრებიდან.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 20 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**ქორწილისაგან წამებულნი**

მხატვრული კომედია 5 ნაწ. მონაწ. რუტ როლანისა. მოსაქმეთა შორის კინო პიესა 2 ნაწ.

ანონსი: ივლისის 24, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**არევ-დარევა**

სახუმარო ფარსი 4 ნაწ. მონაწ. ნევთაროვსკის, ბოლდირევის, სტრაჟევსკის და გრომოვის.

მდგომარე წლის 30 სექტემბერს განზრახულია

## შავი ქვის მრეწველთა მე-19

## ჩვეულებრივი კრების მოწვევა

ამისთვის შავი ქვის მრეწველთა კრების-საბჭო სთხოვს შავი ქვის მრეწველთ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ იმ კითხვების სია, რომელთა შეტანაც კრების პროგრამაში სასურველათ მიაჩნიათ-

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ნ. თავდგირიძე—ჩვენებური საქმიანობა.

ინ-ხანი.—კადეტები და ეროვნული კითხვა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ევგ. გეგეჭკორის პასუხი. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

## კადეტები და ეროვნული კითხვა.

კადეტები რომ კარგი დიპლომატები არიან, ეგ უკვე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ისიც ცხადია, რომ თუ მიზანში რამე ამოუღიათ, ყოველგვარის საშუალებებით შეეცდებიან მის აღსრულებასაც. ჯერ სამინისტროში ბატონობის დროს გვერდი აუხვიეს უკიდურეს დემოკრატიულ პრინციპებს, შემდეგ გამოვიდნენ იქიდან და ყაზახ რუსებთან მოინდომეს მორიგება.

შემდეგ მიატოვეს სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე იმ იმედით. რომ მათ მეტი ვერვინ გაუძლევებოდა რთული საქმის მოგვარებას.

თვისი გამოსვლა სამინისტროდან კადეტებმა დაუფარავად დაუკავშირეს უკრაინის სამართლიან მოთხოვნას ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისას რომელიც თითქმის სამასი წლის განმავლობაში მძიმე უღელად აწვა უკრაინას.

ისიც ეხლა, ამ დიდი რევოლუციის დროს, როდესაც, თამამად ვიტყვით ჩვენ, რევოლუციის ბედი ეროვნული კითხვის კეთილად და სამართლიანად გადაჭრასთან არის შედუღებული.

თავიდანვე რომ ჭეშმარიტ გზაზე დამდგარიყო დროებითი მთავრობა ეროვნული კითხვის მოწესრიგების საქმეში, ე. ი. მას რომ რევოლუციის დაწყებიდანვე უზრუნველეყო რუსეთის ჩაგრულ ერთა განთავისუფლება ფინელებისა, უკრაინელებისა, ქართველებისა, ბელორუსებისა, ლატიშებისა, ლიტოველებისა, ესტონელებისა და სხვათა და სხვათა- შესაძლებელია რევოლუცია უფრო შემოქმედებით გზაზე დამდგარიყო და უფრო მეტიც გაკეთებულიყო რუსეთის სახელმწიფოში.

შესაძლებელია ისიც, რომ არც 3—5 ივლისის ამბებს ჰქონოდა ადგილი პეტროგრადში, რადგან ერთი დიდი შანსთაგანი ბოლშევიკებისა სწორედ ის იყო, რომ ისინი ჩაგრული ერების სიმპატიებს იხვეჭდნენ, რომელ სიმპატიებსაც ომის უარყოფა უფრო და უფრო ზრდიდა ჯარის კაცთა შორისაც,

ომისა და ზავის კითხვაში თუ როგორ გზას ადგნენ კადეტები, ან ეხლა როგორ ურყეველი დარჩა მათი ყველასაგან დაგმობილი ტაქტიკა, ეს ნათელია ყველასათვის.

ეროვნულ კითხვაში კი ხომ ყოვლად შეუწყნარებელ პროგრამით გამოვიდნენ კადეტები მთელი რუსეთის წინაშე. დღე არის და მათ გაზეთებში (Рѣчь русскія вѣдомости და სხვა) ტირილისა და მოთქმის მეტი არაფერი ისმის, არიქა იღუპება რუსეთი და არიქა პატარა ერები თავისუფლებას მოითხოვენო. სრულიად ბუნებრივს, ეროვნული აღორძინებისაკენ მიმართულ მოძრაობას რომ სახელი გაუტეხონ ხალხის თვალში, აი როგორ ქსელში აბამენ მკითხველს: 13 ივლისის „Рѣчь-"ის მეთაურში უკრაინულ მოძრაობას გერმანელების მიერ ხელოვნურად მოწყობილს უწოდებენ, ვითომ ბერლინის ფულები დაეგზავნოს იმ პირთათვის, რომელნიც ორგანიზატორები იყვნენ „союз визволенія Украины"-სა. ამასთანავე მეთაური ბოლშევიკებსაც იხსენიებს (ლენინსაც) და სწერს: „ფორმულა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, ერთა თვით გამორკვევის პრინციპზე აგებული ავსტრო გერმანელების აგენტთა დახმარებით, ომის დაწყებამდე იყო უკვე დამზადებული და ლენინის-შეურიგებელ ინტერნაციონალისტის-ეროვნულ თვით გამორკვევის იდეის დამცველად გარდაქმნა, უკვე 1913 წელს ეკუთვნის, როდესაც ცენტრალი იმპერიები გულმოდგინეთ ეძებდნენ დამქაშებს ლატიშთა, ლიტოველთა, უკრაინელთა, ქართველთა და რუსეთის სხვა ერთა შორის-"ო.

როგორც ვხედავთ, ლენინი, ბოლშევიკები, გერმანელები და რუსეთის ერები დომხალივით არიან ერთი მეორეში არეული. ამას გარდა ესენი კადეტების თვალში რაღაც კავშირში უნდა იყვნენ. რად სვამენ კადეტები კითხვას ამ ნაირად? აშკარაა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იციან, თუ რა რიგ შესძულდა რუსეთს ლენინიც, ბოლშევიკებიც, რა რიგ ეზიზღება რუსებს გერმანელები, ვილჰელმი და რა რიგ უნდა შესძულდეთ რუსებს ამ ლენინ-ვილჰელმის „მოკავშირე" ლატიშები უკრაინელები, ქართველები და სხვა ერები. ამას ჰქვიან სწორედ ნამდვილი პროვოკაცია და ველიკორუსებისა და ჩაგრულ ერთა სამტრო ბანაკებად დაყოფა.

ამნაირად კადეტებმა საკმარისად დაგვანახეს თვისი ნამდვილი ფიზიონომია, მაგრამ ის უფრო ნათელი შეიქნება ჩვენთვის, თუ გავეცნობით მათი ორგანო „РѢЧЬ-"ის მსჯელობას, ამას წინედ გამოქვეყნებულ ცნობის შესახებ, რომელიც იუწყებოდა, რომ კიევში რუსეთის ჩაგრულ ერთა კონფერენცია უნდა გაიმართოსო და რომლის შესახებ ჩვენს გაზეთშიც გამოითქვა გარკვეული აზრი.

„რეჩი" სწერს: მიაღწიეს უკრაინელებმა თავის მიზანს და სხვა ეროვნებათა წინაშეც უნდათ ვალი მოიხადონ. ამიერიდგან ეროვნებათა ყრილობები ლოზანის მაგიერ უკრაინის სტუმართმოყვარე ტერიტორიაზე ეწყობა"-ო. ამნაირ შხამსა და გესლს ანთხევს მილუკოვის გაზეთი და სტიქიურ ეროვნულ მოძრაობას მწარე სარკაზმითა და დაცინვით იხსენიებს. ის კი დავიწყნიათ კადეტებს, რომ ზვირთ-ქაფად ქცეული და ყოველივე დაბრკოლებათა გადამლახველი ეროვნული მოძრაობის მღელვარე ტალღები, კადეტებისა და ძმათა მათთა იერიშებსაც წალეკავს. კადეტებს ვერ მოუნელებიათ ის აზრი, რომ „დათმობა უკრაინისათვის, ანალოგიურ მოთხოვნილებათა წამოყენებას გამოიწვევს სხვა ერთა მხრიდანაც". დიახ! წამოვაყენებთ ჩვენც, ქართველებიც, ასეთ მოთხოვნებს და არა იმიტომ, რომ უკრაინას წავბაძოთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენც გვაქვს ამის უფლება, ჩვენც ერი ვართ, ერი კულტუროსანი, არა დამონებული იარაღის ძალით, არამედ 1783 წლის ტრაქტატის ძალით ისეთივე უფლებებით აღჭურვილნი, როგორც ჩვენი მოკავშირე რუსის ერი.

კადეტებს ისიც უწუხებს თურმე გულს, რომ დამოკიდებულება რუსეთისა საქართველოსთანა და უკრაინასთან, საერთაშორისო კონგრესისა და არა მარტო რუსეთის საქმე არის.

საბედნიეროდ ჩვენდა და თვალსაჩინოვად კადეტთა, ქართული კითხვა, როგორც უკრაინული და ზოგი სხვაც, იმდენადვე არის მარტო რუსეთის საქმე, რამდენადაც მარტო ინგლისისა, მარტო საფრანგეთისა, ან მარტო სხვა რომელიმე სახელმწიფოსი. საქართველოს კითხვა ან თვით ჩვენვე, ქართველებმა, უნდა გადავსწყვიტოთ, და ან საერთაშორისო კონგრესმა. საქართველოს კითხვა ისევე იქნება წამოყენებული მომავალ საზავო კონფერენციაზე, როგორც რუსეთისა, პოლონეთისა, ფინეთისა, უკრაინისა, ინგლისისა. საფრანგეთისა, გერმანეთისა და სხვათა ომში აქტიურად თუ პასიურად მონაწილეთა.

საერთაშორისო უფლების კანონები ჯერეც მოქმედებენ და ძალაში იმყოფებიან.

ამ უფლებათა დარღვევამ ააღელვა იგივე კადეტები, როდესაც ვილჰელმმა ქაღალდის ნაკუწი უწოდა ბელგეთთან დადებულ საერთაშორისო ტრაქტატს. განა ეს არ იყო, რომ მთელი კაცობრიობა გერმანეთის მტრად აქცია?

იგივე ძალა, იგივე მნიშვნელობა და გავლენა აღმოაჩნდა საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებულ ხელშეკრულებას, როგორიც ბელგეთის, სერბეთის და სხვათა ტრაქტატებს. თავისუფალმა სიტყვამ ეს უკვე ნათელ ჰყო და ქართველი ერის გულსაც ღრმად ჩასწვდა. რატომ ამაზე არ ამოიღოთ კადეებმა ხმა და რატომ ჩვენი დაჩაგვრა და ფეხ-ქვეშ გათელვა არ გახდა მათი ბრძოლის საგანი?

აშკარაა იმიტომ, რომ ისინი იმპერიალისტები არიან.

საქართველოს განთავისუფლება აია სოფიაზე ხელის აღებას ნიშნავს, რაც კადეტებს ძილს უფრთხობს და სიმშვიდეს უკარგავს.

კადეტების გამარჯვება რუსეთში საბოლოოდ გამოგვასალმებს დასახული მიზნების განხორციელებას და უფრო დაგვთრგუნავს, ვინემ ძველი რეჟიმი, რადგან უკანასკნელი საკმარისად დიპლომატიურ გამჭრიახობას ვერ იჩენდა, ხოლო კადეტები უფრო მოხერხებულად და „კულტურულად" აწარმოებენ პატარა ერთა შევიწროებას.

ბრძოლა კადეტებთან ჩაგრულ ერებს მძაფრი და შეუპოვარი მოგვიხდება. რუსეთის ჩაგრული ერებიც მტკიცედ უნდა შევკავშირდეთ, ძალა ვაჩვენოთ ცენტრალისტებს, რადგან ცენტრალიზმის ნერგი ღრმად არის დამკვიდრებული ველიკორუსების პსიხიკაში და ამ ნერგს მხოლოდ ჩაგრულ ერთა მტკიცე კავშირი და ურთიერთ ინტერესების დაცვა ამოჰგლეჯს.

**ინ-ხანი.**

---

## რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

დამნაშავეების ჯარში მიღება.

პეტროგრადი. ივლისის 19 დრ. მთავრობამ 1917 წლის ივლისის 17, სისხლის სამართლის მე-386 მუხ. ძალით პასუხის გებაში მიცემულთა მდგომარეობის შესამუშავებლად გამოცემულ დადგენილებათა მე 10 მუხლის შესავსებად დაადგინა:

1) ვინც ამის გამოქვეყნების შემდეგ ჯარში შესვლას მოინდომებს, საჭიროა თანხმობა იმ სამხედრო ნაწილსა, რომელშიაც შესვლა განუზრახავს. ამ შემთხვევაში კი ის მიიღება 1914 წლის ივლისის 28 მოხალისეთა შესახებ; დამტკიცებულ წესით;

2) ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სენატის მიერ შესაფერ აქტის გამოცემამდე.

ზრუნვა ქვანახშირისთვის.

პეტროგრადი. ივლისის 18 სათბობის მასალის კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობაზე, რომელიც ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა ნალჩინსკიმ გახსნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორკვა დღევანდელ ოლქში ქვანახშირის დამუშავების უმწეო მდგომარეობა. დაადგინეს მიღებულ იქნას საჩქარო ზომები, რათა ქვანახშირის მრეწველობა არ შესწყდეს.

ტეხნიკურ ძალთა მობილიზაცია

პეტროგრადი. ივლისის 18 ტეხნიკურ ძალთა სახელმწიფოს თავდაცვისათვის გამოსაყენებლად დროებითმა მთავრობამ დაადგინა სამხედრო სამინისტროსთან დაარსოს გაერთიანებული ტეხნიკური კომიტეტი, რომელსაც ტეხნიკურ ძალთა რაოდენობის გამოკვლევა და მათი გამოყენება დაევალება. ამ კომიტეტში სამხედრო საზღვაო გზათა მიმოსვლის, ვაჭრობის, მიწადმოქმედების, სწავლა განათლების, შრომის სამინისტროებისა, დეპუტატთა საბჭოების, სამ. სამრწ. კომიტეტისა და ინჟენერთა წარმომადგენლები შევლენ.

საქალაქო სესხების უზრუნველყოფა.

პეტროგრადი. ივლისის 18. დრ. მთავრობამ დაადგინა უზრუნველჰყოს ქალაქების სესხი 3 მილიონამდე და სათბობის განსაკუთრებულ კომიტეტის თავმჯდომარეს 3 მილიონი. ასეთი სახის სესხი 200 მილიონამდე შეიძლება ავიდეს.

შრომის მინისტრის მე 3 ამხანაგი.

პეტროგრადი. ივლისის 18 დადგენილია დაარსდეს შრომის მინისტრის მე 3 ამხანაგის თანამდებობა.

უფლების გადამეტებისათვის.

პეტროგრადი. ივლისის 18 დრ. მთავრობის დადგენილებით თანამდებობის ყოველი პირს, რომელიც სახელმწიფო მთავრობის საზოგადო დაწესებულების უფლებას მიითვისებს განსაკუთრებული უფლებები ეყრება და გამოსწორებულ რაზმში იქნება მიცემული 1—3 წლამდე, ან დაპატიმრებული 4 თვიდან 1 წლამდე.

სარკინიგზო წესების დარღვევისათვის დასჯა

პეტროგრადი. ივლისის 18. ჯარში მოთხოვნილი პირები, რომელნიც რკინიგზის წესებს დაარღვევენ, გამოსწორებულ რაზმში იქნებიან მიცემულნი 3 წლამდე.

როშალის ძმის დატუსაღება.

კრონშტადტი. ივლისის 18 სხვებთან ერთად დაატუსაღეს ბოლშევიკ როშალის ძმაც.

„თავისუფლების სესხი“.

პეტროგრადი. ივლისის 18. საკრედიტო კანცელარიის ცნობებით ივლისის 17-მდე „თავისუფლების სესხზე“ ხელი მოუწერიათ: კერძო ბანკებში—1.161.000 მან., სახელმწიფო ბანკებში—401000 მ. შემნახველ—გამსესხებელ კასებში 341.000 მან., საურთიერთო ნდობის საზოგადოებში—140.000 მან., საველე ხაზინებში—7000 მან.

ახალი საბიუჯეტო წელიწადი.

პეტროგრადი. ივლისის 18. საბიუჯეტო წლის იანვრის 1 დან ივლისის 1-ზე გადატანის გამო ფინანსთა სამინისტრომ 1918 წლის იანვრის პირველამდე საბიუჯეტო ანგარიში წარუდგინა დრ. მთავრობას დასამტკიცებლად. განმარტებაში ნათქვამია, რომ საჭიროა დიდი ყაირათობა.

დახმარება სასურსათო კომიტეტებს.

პეტროგრადი. ივლისის 18 სასურსათო სამინისტროსთან არსდება საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა განაგოს ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებისათვის ფინანსიურ დახმარების და სესხის მიცემის საქმე. დახმარება კომიტეტებს სურსათისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების დასამზადებლად ეძლევა.

საქალაქო არჩევნები.

სალხინოვგოროდი. ივლისის 18 საქალაქო არჩევნებში სოციალისტ რევოლუციონერებმა 40 ადგილი მიიღეს, კადეტებმა—20, მენშევიკებმა—12, ბოლშევიკებმა—4, სიონელებმა—4 პირეევიკებმა—3 კენჭის ყრაში ამრჩეველთა მხოლოდ ერთმა მესამედზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა.

სათემეუნო საბჭოს გაუქმება.

პეტროგრადი. ივლისის 19 დრ. მთავრობამ იმპერატრიცა მარიამის დაწესებულების სათემეუნო საბჭო გააუქმა, თანამდებობის პირნი კი შტატს გარეშე დასტოვა საერთო საფუძველზე.

თათბირი.

პეტროგრადი. ივლისის 19. საღამოს 11 საათზე როძიანკო ზამთრის სასახლეში მივიდა და კერენსკისთან რამდენიმე მიმდინარე კითხვაზე მოლაპარაკება იქონია.

ტელეგრაფის უწესრიგობა

პეტროგრადი. ივლისის 19. ქალაქის ტელეგრაფების გამგის თანამდებობის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ხშირად სასწრაფო დეპეშებიც კი ფოსტით იგზავნება. განსაკუთრებით ძნელდება დეპეშების გზავნა ციმბირში, კავკასიაში, და აგრეთვე ხარკოვში, კიევში და ოდესაში.

არჩევნების შედეგი.

პეტროგრადი. ივლისის 19. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საარჩევნო სიები რუსეთში შედგენილია 26 ქალაქში, არჩევნები დანიშნულია სულ 214, მოხდა 121 ადაგას არჩეულია სულ 2640 ხმოსანი, ამათში ესდეკი მენშევიკები.—7 პროცენტი, ბოლშევიკები—3, სოციალისტ-რევოლუციონერები—8, სოციალისტური ბლოკი—7, ხალხის თავისუფლების პარტია 5, ეროვნული ჯგუფები—40, უპარტიონი (?).

მდგომარეობა ბრძოლის ასპარეზის ახლო

კიევი. ივლისის 19. სამაზრო კომისარი იუწყება, რომ პოდოლიისა და ვოლინის მაზრებში სიწყნარეა და პურსა მკიან.

პეტროგრადი. ივლისის 19. მკათათვის 18-ს თავრიდის სასახლეში, როძიანკოს თავმჯდომარეობით სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა კერძო ბჭობა იქონიეს. ბჭობა როძიანკოს მოხსენებით დაიწყო. მოხსენება შეეხებოდა სათათბიროს დროებით კომიტეტის განვლილ ამბების გამო მოწოდებას. ზოგიერთი ორატორი ფრონტზე და ზურგში დაშლა-დარღვევის შეტანაში ბრალს მოძრაობისსათავეში მდგარ პოლიტ-პარტიებს სდებდნენ. მასლენიკოვმა სთქვა დამნაშავენი არიან ისეთნი ოცნების მიმდევარნი და ქუჩაზე შემცდარნი რომელთაც ქვეყნის პოლიტიკის შემოქმედი ჰგონიათ თავიანთი თავი. სახელმწიფო სათათბიროს, რომელმაც დაიწყო ქვეყანას რევოლუცია. აედევნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტების სახელით მოღალატეთა და მაწანწალათა ჯგუფი. როძიანკო ორატორს აჩერებდა. მასლენიკოვმა განაცხადა, რომ იგი პასუხს აგებს თავის სიტყვებზე, და განაცხადა: „შემდეგ დაიწყო რუსის ჯარის, მუშების და ხალხის გახრწნა, სულიერი დაცემა. რუსეთის ხსნა მხოლოდ რუსის მცხოვრებლების დიდ უმრავლესობაზე დამყარებულ სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია“. მასლენიკოვმა თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, თომ თვით სახელმწიფო ტახტის კანონიერი პრეტენდენტი მიხაილ ალექსანდრესძე სახელმწიფო სათათბიროს უფლებას ხმას აძლევდა, მხარს უჭერდა, ამიტომ მან თავისი უფლება დროებით მთავრობას გადასცა. მასლენიკოვს საჭიროდ მიაჩნია სათათბიროს ნამდვილი სხდომის მოწვევა, რომელზედაც სათათბირომ მთავრობას უნდა უჩვენოს თუ რა გზას დაადგეს იგი.

პუროშკევიჩმა განაცხადა: სამშობლოს ხსნის რწმენა არ უნდა დავჰკარგოთ. ამიტომ ჰეგემონ-სტრატის გზით სიარული არ არის საჭირო. ეხლანდელი მთავრობა კი ამ გით მიდის. საჭიროა ყოველივე თვითნებობის მოსპობა. უნდა ისჯებოდენ არა თუ მარტო ბრძოლის ასპარეზიდან გამოქცეულები, არამედ ჯარის კაცთა გადამრევნიც. მთავრობა თავის გვერდით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების არსებობას არ უნდა ურიგდებოდეს, მათ თავიანთი ალაგი უნდა ვუჩვენოთ“-ო. შემდეგ პურიშკევიჩმა სათითაოდ ჩამოთვალა აღმ. კომიტეტის რამდენიმე წევრი და განაცხადა რომ მათ არც ჯარისკაცებთან და არც მუშებთან საერთო არა აქვთ რაო. აუცილებლად საჭიროა რომ მთავრობა მთავრობად დარჩეს. საჭიროა საბჭოების დათხოვნა. დაე ამოსწყდენ დროებით მთავრობის კასერზე მსხდომი ბნელი ძალები, გაუმარჯოს რუსეთის ერთად ერთ მხსნელ სახელმწიფო საბჭოს.

როდიჩევმა განაცხადა, რომ ეხლა პირად ანგარიშების დრო არ არის. საჭიროა ისეთ პირობების გამოძებნა, რომელთა საშუალებითაც ჩვენს ლაშქარში სრული წესიერების შეტანა შეიძლებოდეს. საჭიროა, რომ დამფუძნებელ კრებამდის არავითარი სოციალური რეფორმა არ მივიღოთ. საჭიროა ფინანსიურ კატასტროფის აცდენა. ბარიშნიკოვმა განაცხადა, რომ რადიკალ დემოკრატიულ პარტიამ მთავრობაში წარმომადგენლების გაგზავნით, თავის მოვალეობა აასრულაო. იგი სათათბიროს ყველა პარტიებს მთავრობის საშველად მოუწოდებდა.

მილიუკოვმა ხალხის თავისუფლების პარტიის პოზიცია განმარტა და სთქვა, რომ კოალიცია ნამდვილი უნდა იყოს; ეხლა კი ასე არ არის პარტიის აზრით, სამინისტროებში სოლიდარული ჯგუფი უნდა შევიდეს. ესენი შემთხვევითი პირები არ უნდა იყვნენ იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტები ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენელთა პროგრამას შეურიგდებიან. მაშინ ეს უკანასკნელნი მოვალედ ჩაირცხვენ თავიანთ თავს, რომ დარღვევის მომენტში დროებით მთავრობის მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა. ხალხის თავისუფლების პარტია დაჟინებით მოითხოვს, მთავრობამ უარი სთქვას დამფუძნებელ კრების საეჭვოდ ნების წინასწარ უწყებაზე, ერიდოს ისეთ ნაბიჯებს რომლებიც კლასთა შორის განხეთქილებას და სამოქალაქო ბრძოლას ჩამოაგდებს. და საგარეო პოლიტიკაში ციმერვალდის პრინციპები არ იქნეს გაყვანილი ლაშქრის ძალის შესაქმნელად ზომები უნდა იქმნას მიღებული.

მილიუკოვმა სთქვა აგრეთვე: მასლენიკოვი სცდება, როდესაც ამბობს, რომ მიხეილ ალექსანდრეს ძემ მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს გადასცაო.

ნამდვილად კი, მან ხელმწიფობა (власть) დროებით მთავლობას გადასცა. მილიუკოვის აზრით, სახელმწიფო-სათათბიროს, როგორც დაწესებულებას დროებით მთავრობასთან შეთანხმებით (კონტაქტით) შეეძლო არსებობა, სხვანაირად საქმის გაძღოლა მხოლოდ მაშინ შეეძლებოდა, როდესაც დროებითი მთავრობა მთლად დამკარგავდა ავტორიტეტს. ბჭობამ, მიმართვა მოიწონა, როძიანკომ თავის სიტყვის [illegible] ჯერ კიდევ არ დამდგარა ეს პსიხოლოგიური მომენტი დასასრულ როძიანკომ სურვილი გამოსთქვა, რომ წევრების კერძო ბჭობაზე მეტი ხალხი ესწრებოდეს მან აღუთქვა აგრეთვე დეპუტატების მოსაწვევად, დეპეშებისა და წერილების გაგზავნა, მოაგონა ის დადგენილება, რომლის ძალითაც კერძო ბჭობაზე სახელმწიფო სათათბიროს ოთხთავ მოწვევის დეპუტატებსა და სახელმწიფო საბჭოს არჩეულ წევრებსაც შეუძლიან დასწრება.

ბოლშევიკების ბელადთა შეპყრობა

ჰელსინგფორსი. ივლისის 17. ბოლშევიკების ბელადთა შეპყრობის დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან. შეიარაღებული ხალხი გაზეთ „ვოლნა“-ს (ტალღა) რედაქციას მიადგა. რედაქციაში არავინ აღმოჩნდა, მაგრამ მალე იქ გაზეთის თანამშრომლები გამოცხადნენ. ხალხმა ისინი იმ წამსვე შეიპყრო. ამავე დროს ერთმა ჯგუფმა ალექსანდრეს სახელის გიმნაზიას შემოარტყა ალყა და გაზეთის სოციალისტ-რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტების სახელით თანამშრომლები შეიპყრო.

დამფუძნებელ კრებისათვის.

პეტროგრადი. ივლისის 18. დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ დამფუძნებელკრების არჩევნებისათვის დაწესებული დრო უფრო ახლო დანიშნოს. სოფლის საზოგადოების, საგუბერნიო და სამაზრო კომისიებში შეტანილ საჩივრების განხილვა უნდა 4 დღეში მოხდეს, კომისიის მიერ საჩივრების განსახილველად—4 დღე და სიების მეორედ გამოცხადებიდან არჩევნებამდის 7—14. დღემდე მეტი არ უნდა რჩებოდეს.

სასულიერო პირთა სამხედრო ბეგარაში გაწვევა

პეტროგრადი. ივლისის 18 შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ის სასულიერო პირნი, რომელთაც 43 წელი არ შესრულებიათ და თავისი ნებით ანებებენ თანამდებობას თავს,—ამიერიდან გაწვეულ იქმნებიან სამხედრო ბეგარის მოსახდელათ.

# ჩვენებური საქმიანობა.

„ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც დაშავდების“.

საუბედუროდ ჩვენდა არსად, არც ერთ ქვეყანაში „თქმით“ იმდენი არ დაშავებულა, როგორც ამ ჩვენ კურთხეულ საქართველოში. ეხლანდელ დროში დაწუნებული ძველებური წესით ყოველივე მნიშვნელოვანი აზრი, გამოთქმული, რა თქმა უნდა, ისეთი ადამიანის მიერ, რომლის მსჯელობას საზოგადოება ყურადღებით ისმენდა, ხანგრძლივი დაკვირვების და მრავალჯერ დარბაისელთა წრეში განსჯა—თათბირის შედეგი იყო. ამ სოციალისტურ აზროვნობის დროს, ვისაც რა გაუვლის ფიქრად, უცებ, სრულიად გაუსჯელად, სადაო საგანზე სხვა და სხვა შეხედულებათა წარმომადგენლების დაუკითხავად, დაბეჯითებით აწვდის საზოგადოებას მნიშვნელოვან კითხვებზე თავის შეხედულებას.

სიტყვის თავისუფლება ყველასათვის სანატრელი უფლებაა, მაგრამ ერთი ორად პასუხის მგებელია ის, ვინც ნათქვამისაგან გამოწვეულ შედეგებს წინდახედულად არ ეპყრობა.

იმის გამოსარკვევად, თუ რა გავაკეთეთ და რა შევსძინეთ ჩვენს სამშობლოს ჩვენებური სიტყვის თავისუფლებით საკმარისია მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი: მკითხველ საზოგადოებას მოაგონდება ის აურ-ზაური, ის სასტიკი ბრალდება, რომელიც ასტეხა ჩვენებური საზოგადოებრივი აზროვნობის მეთაურებმა, „სახალხო გაზეთის“ ხელმძღვანელებმა, აფხაზთა იმ უბრალო მოთხოვნილების გამო, რომ ამ ისტორიულად დასჯილ, ერთ მუჭა ხალხათ დარჩენილ ეროვნებას, თავიანთ თავისებურობის, ენის და ეთნოგრაფიული ელფერის შესანახავად საკუთარი საეროზო ერთეული უნდოდა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ადმინისტრატიულ, სრულ უფლებიანი, მართველობა.

ეს ჩასთვალეს რაღაც შეუწყნარებელ ცოდვად, როცა მე გავბედე და ორიოდე სიტყვით გამოვესარჩლე აფხაზთა მცირედ მოთხოვნილებას, მოღალატედ და ქართველობის მთლიანობის დამრღვევლად მომნათლეს.

საეროზო თათბირზე ჩემი ვედრება—მუდარის წინააღმდეგ და აფხაზთა წარმომადგენლების მუქარის მიუხედავათ, რომელნიც დაბეჯითებით ირწმუნებოდენ; თუ ქართველები ჩვენს სამართლიან მოთხოვნას მხარს არ მისცემენ, ჩვენ იძულებული ვიქნებით რუსებს მივემხროთო ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლის გადამწყვეტილებმა ჯერ თვით თათბირის დროს აბხაზთა სურვილის წინააღმდეგ მისცეს ხმა და შემდეგ, როცა მათი აზრი არ გავიდა უმრავლესობით, განსაკუთრებული პროტესტი საწინააღმდეგო აზრი, შეიტანეს და ისტორიულად აღბეჭდეს თავისი, აბხაზთა საწინააღმდეგო, მოქმედება. ამ ისტორიულ აქტზე ისეთ დარბაისელ და ცხოვრებაზე დაკვირვებულ ჩვენებურ საზოგადო მოღვაწესაც მოაწერიეს ხელი, როგორიც არის კოტე აბხაზი.

ეხლა განვიხილოთ, რა შედეგი მოჰყვა ამ ჩვენი მოღვაწეების ჯიუტურ მოქმედებას: ძველი ცხოვრების მცოდნე ქართველებმა კარგად იციან, თუ რა მჭიდრო სულიერი კავშირით შეთვისებული იყო ქართველობასთან აბხაზეთი; ეს იყო შედეგი ჩვენი ძველი, სახელმწიფოებრივი, გონივრული, ჰუმანური და შორს-მჭვრეტელი პოლიტიკური მართველობისა; აბხაზებს ძველად განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობოდენ ჩვენი ქვეყნის გამგენი: აბხაზური წესი, ზრდილობა, ძიძიშვილობა ჩვენში მისაბაძ ჩვეულებად იყო მიჩნეული, ამით აიხსნება ის, რომ მართალია ტომით და ენით დიდათ ჩვენგან დაშორებული ერი, ნამდვილ სისხლით მონათესავესავით ჩვენთან დაძმობილებული იყო. ეხლა კი რას ვხედავთ? ამ ისტორიულ დიდ მნიშვნელოვან ხანაში, როცა ჩვენი „ყოფნა არ ყოფნის“ კითხვა სწყდება, როცა კავკასიის ერთა შორის ქართველობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ჯგუფები ცალკ-ცალკე ბანაკდება, ამ დროს, ეს ჩვენი საუკუნოებით დანათესავებული ერი—აბხაზობა დემონსტრატიულად ჩვენგან განზედ დგება, როცა ჩვენ დევნილ და ტანჯულ ავტოკეფალობას უცხოელებიც თანაგრძნობით შეჰყურებენ, აბხაზები, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც შეურიგებელი, სულით და გულით რუსებისადმი მტრულად განწყობილნი, დღეს რუსებთან არჩევენ კავშირს, ვინემ ჩვენთან. ვის მიუძღვის ამაში დანაშაული? რა თქმა უნდა, ჩვენს ეხლანდელ პოლიტიკურ სიბეცეს, მოუმზადებლობას, წინდაუხედველობას: არა თუ მოკავშირე ერს, არამედ მუდმივ ცხოვრების თანამგზავრს—მეუღლესაც განსაკუთრებული ყურადღება, ალერსი, გრძნობის გასამაგრებელი, ხალისიანი მოპყრობა სჭირია, რომ არ შესუსტდეს, არ გაჰქრეს, არ დაიშალოს ის ძალა, რომელიც სხვა და სხვა ადამიანებს აერთებს; ჩვენ კი ყოველივე ზომას ვხმარობთ, რო დავარღვიოთ, დავშალოთ გავაუქმოთ ის, რაც თვით ისტორიას შეუქმნია ჩვენთვის.

მარტო ერთი წლით და ერთი შეთხვევით არ აიხსნება აბხაზთა გაგულგრილება ჩვენებურობისადმი: 1905 წლიდგან დაწყებული, განსაკუთრებული ხანა იწყება ჩვენსა და აბხაზთა განწყობილების ისტორიაში. 1906-ში ჩვენი საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებდი გაზეთების საშუალებით, რომ აფხაზეთს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მხრით მეთქი. ის წესი ქადაგებისა და მოქმედებისა, რომელიც ჩვენში არსებობს, არ შეეფერება აფხაზეთის ცხოვრებას: აფხაზეთში ჩვენებური ხალხი ჩასიზნებული არის მოიჯარადრეებს წარმოადგენს; და ბუნებრივი წესით, ახალშენური მსვლელობის გამო თანდათან მკვიდრდებოდა აბხაზთა მამულებზედ; 1905 წლამდე ამ მოვლენას თვით აბხაზები ხელს უწყობენ: ნათესაობა ძიძიშვილობის მეოხებით თანდათან ვრცელდებოდა აფხაზეთში მეგრელობა და უკანასკნელნი აფხაზ მემამულეებისგან მფარველობას პოულობდენ; აქ, აფხაზეთში ფეოდალური წყობილების ნაშთები დღესაც შერჩენილი არის.

ყოველივე ცხოვრებრივ მოვლენას ჩვენ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა შევხედოთ და არა ამა თუ იმ პარტიის საპროგრამო მოთხოვნილების მეოხებით: სულ სხვანაირია ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველი წესი და სულ სხვანაირი ხერხით უნდა შებრძოლება ფეოდალურ წყობილებას.

ჩვენებური სოციალისტების ქადაგება: მიწა უსასყიდლოთ უნდა გადაეცეს მიწის მუშასო, დიდ უთანხმოებას და პოლიტიკური მოსაზრებით საწინააღმდეგო ბრძოლას იწვევს აბხაზ მემამულეთა შორის: „თუ მიწა ტყვილა დარიგდება მაშინ უმჯობესია აბხაზეთის მიწა, აბხაზეთის გლეხს ჰქონდეს და არა შემოხიზნებულ მოიჯარადრე მეგრელსო“.*)

ამ მოსაზრებით ჯერ კიდევ 1906-დგან დაიწყო მეგრელ მოიჯარადრეთა დევნა; მაშინ ყოფილი ოლქის უფროსის ლევან ჯანდიერის დახმარებით ვაჩერებდით ვანელებდით ამ ბრძოლას მაგრამ ამ გარემოებით დიდათ ისარგებლა რუსის პოლიტიკანებმა: „ხომ ხედავთ, რუსები თქვენ მიწას გიბრუნებენ და ქართველები კი გართმევენო“; ამავე დროს სომხის პარტიული და სარწმუნოებრივი მეთაურები ასწავლიდენ თავიანთ მოძმეებს ზედმეტი იჯარის ფული აძლიონ ბინაში აფხაზებს და არას გზით ბრძოლა არ გაბედონ მათთან. ამ გზით ჩვენი მქადაგებლების მეოხებით ჩვენი მოიჯარადრე მეგრელების დამოკიდებულება აფხაზ მემამულეებთან თანდათან მწვავდებოდა და ამავე დროს სომხების გონივრული მოქმედებით მათდამი განწყობილება უფრო უმჯობესდებოდა. ჩვენი რჩევა და ზრუნვა, მოიჯარადრე მეგრელებს სამუშაო მიწა საკუთრებად შეეძინათ არა თუ თანამშრომლობასა და თანაგრძნობას ვერ პოულობდა ჩვენებურ მოსოციალისტე მოღვაწეებში, არამედ სასტიკ დაბრკოლებას ხვდებოდა მათ ლოზუნგში: „მიწა უფასოდ უნდა გადაეცეს მიწის მშრომელსო“; ამნაირად აბხაზეთში ჩვენივე დაუდევრობის მიზეზით 40 ათასი ჩვენ-

*) სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, განსაკუთრებული გავლენა აფხაზეთში ჩვენებურ მოიჯარადრეებზედ, მხოლოდ სოციალ-დემოკრატებსა აქვთ.

საშუალო რიცხვით, თვით აფხაზ გლეხებს 20—50 დესეტინა მიწა აქვთ მიზომილი და მხოლოდ ამ ბოლო დროს, 1912 წლიდან, დაიწყო სათემო მფლობელობის კერძო საკუთრებად გარიგება და ეს წესი დღესაც არ დამთავრებულა. მემამულეებს შუათანა რიცხვით 50—200-დე დესეტინა მიწა ექნებათ.

ძველ რევოლუციონერთა ჯგუფის მოწოდება.

პეტროგრადი. მკათთვის 17. ძველ რევოლუციონერების ჯგუფმა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას, დეიჩს, ლუკაშევიჩს, პლეხანოვს, ფიგნერს ჩაიკოვსკის და მრავალ სხვებს რუსეთის მოქალაქეთადმი მიმართულ მოწოდებაზე ხელის მოსაწერად მიმართეს. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: რევოლუციისა და სამშობლოს სახელად დეპუტატთა საბჭომ დროებით მთავრობას განსაკუთრებითი რწმუნობილობა მიაკუთვნა დღეიდან ომის დათავებამდის, დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, მთავრობა რუსეთის ერთად-ერთ მომწყობად და მმართველად ჩაითვალება. ამისთვის ყოველი მოქალაქე თუ ორგანიზაცია ყოვლის უმიზეზოთ უნდა მთავრობას ჰმორჩილებდეს. რევოლუციისა და სამშობლოს საფრთხე ელის და ეხლა პარტიული ბრძოლის დრო არ არის. შეერთდით სამშობლოს სახსნელად.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივლისის 18. გუშინ საღამოთი ლარუბელერიდან იაშევრენის მაღლობის ქედის დასავლეთის კალთამდე 1500 ადლის მანძილზე მტერზე იერიში მივიტანეთ, რითაც დასახულს მიზანს სავსებით მივაღწიეთ და გერმანელთა კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ, რომლის დროსაც 165 კაცი წამოვიყვანეთ ტყვეთ. სერონი—იურტემიზის ხაზზე ზარბაზნების სროლაა ზოგან ქვეითი ჯარიც მოქმედებს. შამპანში ირიპის ჩრდილ. დასავლეთით ზარბაზნების სროლაა მკაცრი ბრძოლის შემდეგ მტერი ჩვენს ხაზებს დაესხა თავს, ზარბაზნებისა და თოფის ცეცხლით შევხვდით ჩვენ და ხელი შეუშალეთ. მაასის ორივე ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი. ივლისის 18. გუშინ გავამაგრეთ კანადის სამხ., იპრთან და კომინთან ახალი პოზიციური. ამ პუნქტების ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ჰავრი. ივლისის 19. გერმანელებმა შორს მტყორცნელი ზარბაზნები დაუშინეს ბელგიელთა დაბანაკებულ ჯარს და გზებს. ვუმენის მიდამოებში ბელგიელებმა გერმანელთა რამდენიმე ბატარეა ჩაჩუმეს.

ლონდონი. ივლისის 18. ლომბარტზიდეს ახლო ჩვენი რაზმი გერმანელთა სანგრებს თავს დაესხა არმანტიერის ახლომახლო გერმანელთა არტილერია ჩვეულებრივზე ენერგიულად მოქმედებდა.

ბური მოიჯარადრე მეგრელების ბედი დღემდის ლხუკეშო მდგომარეობაშია; ამ რევოლუციის დროსაც ცარცვა-მტაცებლობის გზას დაადგა ჩვენებური მოიჯარადრეები, მაშინ როდესაც სომხობა ერთი-ორად იხდის საიჯარო ფულს. ეხლა ვიკითხოთ, ვინ უფრო წინდახედულად ირჯება? ჩვენი „ენუქას ანდერძის" თანახმად მომქმედი სოციალისტები, თუ სომხისვე სოციალისტები, დაშნაკცუტუნები, რომლებმაც ათი წლის განმავლობაში დაასახლა, დააბინავა და გაამდიდრა აფხაზეთში, თავიანთი ბოგანო, ოსმალეთიდან გამოხვეწილი, აოხრებული და გაპარტახებული ხალხი. ჩვენ ჯიღით და დამუქრებით ვაშინებთ ყველას და ამიტომ ერთგულ მეგობრებსაც ვიშორებთ, ვჰკარგავთ და ჩვენი მეტოქეები კი ცბიერებრივი, გონიერის საშუალებით მოქმედობენ და კიდევაც იმარჯვებენ.

დიდი ხანია ვამბობ და ვამტკიცებ რომ ჩვენთვის მიუცილებლად საჭიროა რამე საერთო, ეროვნული გამგებლობა; თუ ეს საჭირო იყო თვითმპყრობელობის დროს, როცა დევნილი იყო ყოველივე სურვილი ერთობა თავისუფლების; ეხლა, როცა შესაძლებელი შეიქმნა ყოველნაირი ადამიანური უფლების მოპოვება და განხორციელება, ჩვენი დანაშაულება და ისტორიული ცოდვა იქნება, თუ არ დავაარსეთ ისეთი ორგანო, დაწესებულება, რომელიც იფიქრებს იზრუნებს ჩვენებურ არსებითად მნიშვნელოვან საქმეებზედ, გაუძღვება მათ და მომავალში აგვაცდენს ბევრნაირ შეცდომებს და ყალბ მიმართულებას, რომელიც დაღუპვის გზაზედ აყენებს ჩვენ ხალხს.

ნიკო თავდგირიძე.

სოხუმი ივლისის 1917 წ.

ივლისის 16 ღამე ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროდრომს, რკინი გზის სადგურებს და ყუმბარების საწყობებს ყუმბარები დაუშინეს და ცეცხლი გაუჩინეს. ასე გრძელდებოდა დილის 10 საათამდე. დიდი წვიმისა და ქარიშხალის გამო მფრინავები უკან დაბრუნდნენ. ქარიშხალმა საფრენებს გზაში მოუსწრო, 4 მათგანი არ დაბრუნებულა ჰაერში შეტაკების დროს გერმანელთა 4 საფრენი ჩამოვაგდეთ, 2 ვაიძულეთ დაზიანებული დაბლა დაშვებულიყო. ჩვენ სულ 6 საფრენი გვაკლია

ლონდონი. ივლისის 19 შუაღამეზე ჩვენი ჯარი იზერის არხზე გადავიდა და მარჯვენა ფრთით მეორე ნაპირზე ინგლისის ჯარს შეუერთდა. საშინელმა მკაცრმა საარტილერიო მომზადებამ გერმანელთა საფრენები მიწასთან გაასწორა და დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენმა ჯარმა 2 პოზიცია ბივსნოეტეს დასავლეთ. ხელთ იგდო. ჩვენი ზარალი მცირეა. ხელთ ვიგდეთ სამხარი მასალ და ტყვეები. გერმანელები დიდათ დაზარალდენ. მდ. ენაზე განსაკუთრებულის სიმკაცრით სწარმოებს ზარბაზნების სროლა. ლარუაიერი სამხრეთით მომქმედ, ჩვენი ჯარის. სულიერი მდგომარეობა საუკეთესოა, მან აქ წინ წაიწია. გერმანელთა სანგრები სავსეა მოკლულთა და დაჭრილებით, ტყვეთ წამოგვიყვანია 210 ზე მეტი. დილით გერმანელთა იერიში შორეულს ალმ. მოვიგერიეთ. სერპი. იურტებიზის ხაზზე მკაცრა ზარბაზნების დაშენის შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს, 1500 ადლის მანძილზე, მონაწილეობას იღებდა პოლკი, კონტრ იერიშებით უკუვაქციეთ გერმანელები. მაასის ნაპირებზე დღემ წყნარად ჩაიარა.

აფრიკაში.

ლონდონი. ივლისის 19. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ დიდათ დაზარალებულ მტრებს წავართვით პოზიციები ლიუპონგოსა, ირინგოს, გული რას, და მახრენ გესთან. კილვასთან. დიდმა წვიმებმა ამასწინად მოქმედება შეგვაწყვეტინეს, რომელიც ეხლა განვაახლეთ.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ივლისის 19. ოფიციალი კიეზის ღელეში ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ იტალიელთა წინწამოწეულ პოზიციებს შეუტიეს, მაგრამ მოიგერიეს და დიდათ დაიზარალეს. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივად—ზარბაზნების სროლა და მწვერავ რაზმების მოქმედებაა

ბალკანეთის ასპარეზი.

პარიზი. ივლისის 19 ოფიციალი. ვარდარის მარჯვენა ნაპირზე ზარაკლისა და ლუნცას მიმართულებით თოფისა და ხელის ყუმბარების სროლაა. ლუჩინასა და სერპის მხრით ბულგარელთა მწვერავი რაზმები ჩვენს პოზიციებს უახლოვდებოდნენ, მაგრამ უკუ ვაქციეთ. მთელ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა მძიმე არტილერიამ მტრის ბატარეებში 2 აფეთქება გამოიწვია.

ზღვაზე.

ლონდონი ივლისის 17 სამირ-ბარო იტყობინება: ივლისის 15 ღამე ბრიუგეში, ტურუ, მიდელ კერკესა და გიტელის მიდამოებში ჩვენმა საჰაერო რაზმმა ყუმბარები ჩამოჰყარა, რამაც რამდენიმე ალაგას აფეთქება გამოიწვია. ყველა აპარატი უვნებლად დაბრუნდა.

გერმანელ ჯარის გადმოყვანა რუსეთის ასპარეზზე.

მომქმედი ლაშქარი. მკათთვის 18. მზვერავთა ცნობით გერმანელები საფრანგეთის ასპარეზიდან-თავიანთ ლაშქარს—რუსეთის ასპარეზზე ჰგზავნიან. მათ ჯარებს მიემატა ახალი ცოცხალი ძალები, როგორც ქვეითისა, ისევ კავალერიის ნაწილებისა. ავსტრიელებს ცხენოსანი ჯარი სრულიად არა ჰყავთ,— განადგურებულია ცხენოსანთა 11 დივიზია.

იქსკიულის აღება გერმანელებისაგან.

რიგა. მკათთვის 18. სტრატეგიულის მოსაზრებით ჩვენ დავცალეთ იქსკიულის ხიდის სიმაგრენი, რომელთაც 21 თვის განმავლობაში ვიცავდით. ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირი. განთიადისას ჩვენ მიერ დატოვებული იქსკიული გერმანელებმა დაიჭირეს.

დეზერტირების დასჯისათვის ახალი კანონის პროექტი

მომქმედი ლაშქარი. მკათთვის 17. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის კომისარის თანაშემწე იუწყება, რომ ვინაიდან ეხლანდელ ფრონტის მდგომარეობა დამღუპველია რუსეთისათვის, ძარცვა-გლეჯისა და დეზერტირების დახრეტის გარდა, საჭიროა ისეთ კანონის სასწრაფოდ გამოცემა, რომლის ძალითაც ფრონტიდან გამოქცეულები ყოველივე უფლებასთან ერთად მიწასაც ჰკარგავდნენ. დამნაშავენი განსაკუთრებით მძიმე ს. მუშაობისათვის შემდგარ მუშათა ჯგუფში ჩაირიცხებიან.

**(ჟურნალ გაზეთებიდან).**

დაკარგულ ზარბაზნების რაოდენობა.

მე 11 არმიის ბრძოლის ხაზზე რუსის ჯარს მიუტოვებია 700 ცალი ზარბაზანი 12 და 16 დიუმიანი ზომის არტილერისტებისათვის ქვეითა ჯარის უსერია და დაუხოცნია.

მოხალისეები.

მოსკოვში გაცხარებული მუშაობაა მოხალისეთაგან ცალკე რაზმების შესადგენად მოხალისენი ბევრნი არიან ყოველ დღე იგზავნება ბრძოლის ველზე სამარშო როტები.

მოსკოვის მეცხოვნე ჯარის პროტესტი.

მოსკოვის ქალაქის მეცხოვნე ჯარმა პროტესტი განაცხადა მის წინაღმდეგ, რომ ბრძოლის ველზე როტების მაგიერად პოლკებით გზავნიან ჯარს.

გერმანელთა ტრაბახი.

გერმანელი რადიოგრამი ამბობს: ჩვენ მატარებლები არა გვყოფნის რუსების მიერ მიტოვებულ ზარბაზნებსა და ტყვეების გადასაზიდათ.

ბერლინი ზეიმობს.

ბერლინში დიდი ზეიმია. არავის არ სჯეროდა პირველ ხანებში, თუ ავსტროგერმანელთა 10 დივიზია ბრძოლის პირს გაარღვევდა და რუსების სამს არმიას გაანადგურებდა. ბერლინი გამარჯვების გამო სულ დროშებითა და ბაირაღებითაა მორთული. ჰინდენბურგისა და ლიუდენდორფის ხალხს ყველა ქება-დიდებით იხსენიებს.

ტარნოპოლის განადგურება.

ტარნოპოლი სულ ერთიანად დაუნგრევიათ. დაცლამდე ჯარს დაურბევია ქალაქი და დაუმტვრევია, რაც ამას გადარჩენია, ის კიდევ გერმანელთა არტილერიას გაუნადგურებია, რომელიც ორივ მხრიდან აწვიმებდა ქალაქს ყუმბარებს.

დეზერტირების დაჭერა.

ბრძოლის ასპარეზის ახლო მახლო დეზერტირების დასაჭერად კავკასიის მკვიდრთა და კაზაკთა დივიზიები დაუგზავნიათ. თურქმენები ისე იჭერენ თურმე მათ, როგორც ტყის მხეცებს.

კვლავ პეტროგრადისკენ!

მოსკოვის გაზეთების ცნობით, გერმანელები რიგა—დვინის ხაზზე შეტევის დაწყებას აპირებენ. ჰამბურგში და კილში კერძო გემების რეკვიზიცია მოუხდენიათ რათა რიგისა და ფინეთის ყურეებში დესანტის გადმოსხმაში მოიხმარონ. ხმებია, რომ ლიბავიდან უკვე გამოსული ჩრდილოეთისაკენ კრეისერების, ნაღმოსნების და წყალქვეშათა ესკადრები.

## ეროვნული კითხვა

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

სეიმის დათხოვნა.

ჰელსინგფორსი. ივლისის 19. დროებითი მთავრობის მანიფესტით ფინეთის სეიმი დათხოვნილია. მანიფესტი ივლისის 18 არის ხელმოწერილი. დღეს 15 საათზე გენერალ გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სენატის სხდომა, რომელზედაც გენ. გუბერნატორმა განაცხადა, რომ მთავრობამ ყველა საშუალება იხმარა და, რაკი მატერიალურ ძალის ხმარება არა სურდა, თვით ფინეთის ხალხს მიმართა და ივლისის 18 სეიმი დაითხოვა, შემდეგ გენ. გუბერნატორმა სეიმის თავმჯდომარის ამხანაგს გადასცა გამოსაქვეყნებლად მანიფესტი სეიმის დათხოვნის შესახებ, გაითვალისწინა რა დროებით მთავრობამ, რომ ფინეთის ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს 8 საათის სამუშაო დღეს და თვითმართველობის საერთო კანონებს, დამავალა მე სენატს გადავცე: თუ ეს კანონები მთავრობამდი მიაღწევს, ის, დაამტკიცებს თუ არა, მაშინ თვითვე შეიმუშავებს კანონს და ახალ სეიმს წარუდგენს.

ამის შემდეგ სეიმის სხდომა შესწყდა და 20 საათზე განახლდება. მაშინ განხილული იქნება სეიმის დათხოვნის მანიფესტის გამოქვეყნების კითხვა. სხდომა, სენატორების სურვილის თანახმად, შესწყდა, ვინაიდან მას სურდათ მოეფიქრებიათ გადაწყვეტილება მანიფესტის გამოქვეყნების შესახებ. სხდომა სწორედ 20 საათზე განახლდა. თუ სენატი დასთანხმდა მანიფესტის გამოქვეყნებას ეს მოხდება სეიმის ხვალინდელ სხდომაზე.

მაჰმადიანთა ყრილობა.

ყაზანი. ივლისის 18. მთავრობის ინსტრუქციების თანახმად შესდგა სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობა, რომელსაც 200 წარმომადგენელი დაესწრო. ყრილობას მიესალმა ჯარის მთავარსარდალი. თავმჯდომარემ საპასუხო სიტყვაში სთქვა, რომ ყრილობა ეროვნულ კითხვების გარდა რუსეთის დაცვის შესახებაც იმსჯელებს.

მაჰმადიანთა სამღვდელოების ყრილობა.

ყაზანი. ივლისის 18 გაიხსნა მაჰმადიან სამღვდელოების ყრილობა.

დებულება გენერალურ სეკრეტარიატის შესახებ.

კიევი. ივლისის 18. ცენტრალ რადის კომიტეტმა მიიღო დებულება გენერალურ სეკრეტარიატის შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად დრ. მთავრობას წარედგინება.

**(ჟურნალ-გაზეთებიდან.)**

სრულიად უკრაინის მუშათა ყრილობის რეზოლუციები.

1) ომის შესახებ; ყრილობა აღიარებს, რომ რევოლუციაც, უკრაინის ავტონომიაც და ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობაც დაღუპვის კარზე არის მიმდგარი ომის გამო და მოითხოვს, რომ ომი რაც შეიძლება მალე გათავდეს."

2) მომენტის შესახებ: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ მთელი უკრაინის მუშებმა მთელის თვისი ძალღონითა და შეუპოვარის ენერგიით მხარი დაუჭირონ უკრაინის ცენტრალ რადასა და გენერალურ სეკრეტარიატს, რომელნიც რევოლუციურის ძალღონით შემოსილი ორგანოებსა და მთავრობის უფლებებით აღჭურვილ დაწესებულებებს წარმოადგენენ უკრაინაში."

გალიციის მარცხი და უკრაინა.

გერმანელების გალიციაში გამარჯვების გამო ლენ. ლეიტ. არდენნი აღნიშნავს ამ წარმატების ზნეობრივსა და სამხედრო მნიშვნელობას და ხაზ გასმით ამბობს:

მაგრამ უველაფერზე საგულისხმო ის შთაბეჭდილება, არის, რომელსაც ეს გამარჯვება მოახდენს ხელმძღვანელებზე და მცხოვრებლებზე შეკავშირებისათვის, გზა მალოროსიის რესპუბლიკაზე, რომელსაც რუსეთისგან არ შეუძლია მოელოდეს უკრაინისა და ავსტრიის მალოროსიის გაერთიანებას. პოლკოვნიკი ზალცმანი სწერს: ფუჭია კერენსკისა, წერეთლისა და ბრუსილოვის ცდა. რუსეთი თავის ხელით ითხრის სამარეს. მისი მესაფლავენი არიან ინგლისი და ამერიკა.

გენერ. სეკრეტარიატის დეპეშა.

ოდესის შეერთებულ დემოკრატიის საბჭოს მრავალ რიცხოვან ყრილობაზე რადას თავმჯდომარე ლუცენკომ გამოაქვეყნა უკრაინის გენერ. სეკრეტარიატის დეპეში, რომლითაც ის მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეატყობინონ ჯარში მყოფ უკრაინელებს, რომ აუცილებელია სამხედრო უფროსების ბრძანებების შესრულება. ფრონტზე აგიტატორები დაიგზავნა, რათა შეტევის წარმოებისათვის იქადაგონ.

ოდესა და უკრაინა.

ოდესის სახალხო თავისუფლების პარტიის განყოფილების ყრილობას შეატყობინეს, რომ გავრცელებული ხმების თანახმად, უკრაინელებს გადაუწყვეტიათ ოდესის უკრაინის ტერიტორიის ფარგალში მოთავსება. ბიუროს დაევალა გამოიკვლიოს ამ ხმების საბუთიანობა და თუ დამტკიცდა, გადაწყვეტილია მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიოს პარტიამ ამ გეგმის განხორციელებას.

ეროვნებათა კავშირი.

პარიზის „ადამიანის უფლებათა ლიგა" კონგრესს იწვევს ერთა კავშირისა და სხვა კითხვათა მოწესრიგების შესახებ.

## უკანასკნელი ამბები

კადეტები და კაზაკები.

პეტროგრადის „რაბოჩაია გაზეტაში" მოთავსებულია კაზაკთა წერილი შესახებ იმისა, რომ კადეტთა ცენტრალმა პარტიამ ივლისის 3—4 მსხვერპლ კაზაკთა დასაფლავებაზე თავისი 4 წარმომადგენელი გაგზავნა: მილიუკოვი, მაკლაკოვი, როდიჩევი და პეპელიაევი. კაზაკები ჰკვირობენ, კადეტები თავის წარმომადგენლებს მარტო კაზაკთა დასაფლავებაზე რათა ჰგზავნიან და რატომ სხვა მსხვერპლის დასაფლავებაზედაც არ ჰგზავნიანო.

კაზაკები აცხადებენ, ეს აშკარა ფარისევლობაა და ამიტომ მე-4 ... კაზაკთა ... მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ.

პოლონელთა ...

... როცა ... პოლონეთში ... პოლონური ... ორად გაიყო. ერთი ნაწილი სახელმწიფო საბჭოს უჭერს მხარს, მეორე კი წინააღმდეგია. ამბობენ პილსუდსკი იმიტომ დაუტუსაღებიათ, რომ პოლონელებმა საერთოდ პირი რუსეთისაკენ იბრუნესო რუსული გაზეთების აზრით პოლონეთი გერმანელების წინააღმდეგ აჯანყდება.

„რუსეთი რევოლუციამ არ დაღუპა".

მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ კერენსკის დეპეშა გაუგზავნა. რომლის ბოლოშიაც ამბობს: „ზომები მიიღეთ, რომ ისტორიამ არა სთქვას, რუსეთი რევოლუციამ დაღუპა".

სამშაბათს 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტთა კრება. ამხანაგების დასწრება აუცილებელია, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ კრებას ნუ დააკლდებიან.

პრეზიდიუმი

## ახალი ამბავი

საქმეების ქართულ ენაზე წარმოება. ქუთ. გუბ. აღმ. კომიტეტმა მოქმედება უკვე დაიწყო, ყოველივე საქმეები ქართულ ენაზე სწარმოებს.

✦ ვაჟა ფშაველას საღამო. ამ ახლო მომავალში ორი წლისთავის შესრულების გამო ქუთაისში გაიმართება საღამო ვაჟა-ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავათ.

✦ ა. ჩხენკელი. გუშინ ბათომიდან რიონის სადგურზე გამოიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულ ბ-ნმა აკ. ჩხენკელმა. ქუთაისიდან ა. ჩხენკელს შეხვდა გუბერნიის კომისარი ბ-ნი გრ. გიორგაძე

✦ გრ. გიორგაძის შეურაცხყოფის შიყენება. გუშინ პუშკინის ქუჩაზე გზის საკირწყლავად მომუშავე სპარსელებთან რამდენიმე ჯარისკაცს ჩხუბი მოუვიდა. ამ დროს ეტლით ჩამოიარა გუბერნიის კომისარმა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ და ჯარისკაცებს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა. ჯარისკაცებმა კომისარის ეტლი გააჩერეს და მას სიტყვით და ხელით შეურაცხყოფა მიაყენეს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებით სასწრაფოთ შეიპყრეს ურჩი ჯარისკაცები მეეტლითურთ და სატუსაღოში გაგზავნეს.

✦ ამინდი. ქუთაისში ძლიერი სიცხეები დაიკავა.

✦ დამფუძნებელი კრებისთვის. ცენტრალი კომისია, რომელიც დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსამზადებლად მუშაობს დეპეშით აუწყებს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს, რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს გუბერნიაში რაიონებში და სოფლის საზოგადოებებში.

✦ განცხადება. ქუთ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი აცხადებს ხაგუბ. აღმ. კომიტეტში რომ ფოსტა-ტელეგრაფის სადგომი მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება და თხოულობს დაინიშნოს საქმის გამომძიებელი კომისია, ქალაქის ექიმის და ინჟინრის მონაწილეობით

✦ თანამდებობაზე უარის თქმა ქალაქის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი სამსონ კილაძე თანამდებობას თავს ანებებს.

✦ ქართველ მხედართა და უკრაინელთა საღამოს გამმართველნი სთხოვენ იმ პირს, რომელმაც შეცდომით (ლატარიიდან №№ 343, 344 წითელი მუშის ვაზა წაიღო, დააბრუნოს და მის მაგივრად მიიღოს ყვავილიანი ვაზა. ვაზის დაბრუნება „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში შეიძლება მომტანს გადაეცემა 5 მან.

✦ ქალი—მომრიგებელ მოსამართლედ. კოზლოვის ოლქში მომრიგებელ მოსამართლეთ ნაფიცი ვექილი ქალი იქნა არჩეული სობოლევის ასული.

✦ სურსათის მიღების პირობა საგუბ. სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ უბნებში და რაიონებში სურსათ-სანოვაგის მიღება შეიძლება შემდეგის საზომით. თითო ოჯახზე თვეში 15 ფუთი სიმინდი ყველი ხუთი გირვანქა 1008 კვერცხი, ჩაი (შემოტანილი 5 გირვანქა და ბრინჯი 4 გირვანქა.

## ევგენ გეგეჭკორის პასუხი.

გაზ. „ერთობის“ მე-102 ნუმერში მოთავსებულია ევგ. გეგეჭკორის შემდეგი საპასუხო წერილი:

„საქართველოს“ 157-ში მოთავსებულია წერილი 28 კორპუსის ქართველ მხედართა დელეგაციის, რომელშიაც ყოვლად უმგვანოთ და შეუფერებლათ არის გადმოცემული ჩემი აზრი ქართველ მეომართა ყრილობის შესახებ.

მე არ ვიცი რათ დასჭირდათ წერილის ავტორთ ჩემი საქციელის და სიტყვების ასე დამახინჯება. ვფიქრობ, რომ ეს ვაჟბატონები იმ მხედართა კატეგორიას ეკუთვნიან, რომელიც დადიოდა პეტროგრადში ერთი მოღვაწიდან მეორესთან და წარბ-შეუხრელათ, უსინდისოთ არწმუნებდა ყველა იმათ, რომ მე ვიყავი ავტორი და სულის ჩამდგმელი იმ ალმაშფოთებელ აქტების, რომელიც სალდათთა ბრბომ ჩაიდინა ს. ფედერალისტების წინააღმდეგ ქუთაისში, სამტრედიაში და სხვაგან. ასეთ მოპირდაპირეებთან კამათი მე თავის დამცირებათ მიმაჩნია და თუ ეხლა ავიღე ხელში კალამი არა იმისათვის, რომ უარვყო, რაც ასე უშნოთ მოუჩმახავთ ჩემს წინააღმდეგ წერილის ავტორთ; ვინც ცოტათი მაინც მიცნობს ის თავის თავათ ცხადია არ დაიჯერებს, რომ მე მითქვამს იმის მსგავსიც კი რამ, რაც ამ წერილშია მოთხრობილი: Наконецъ я не разрѣшу въ Тифлисѣ собираться და სხ. ასეთები... ეჭვს გარეშეა, რომ სხვა რომ არ იყოს, კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთლის პატივისცემით ასეთ რამეს არ წამოვროშავდი და არც მითქვამს ეს. თუ დრო ექნათ და წაიკითხეს ზემო მოხსენებულ ამხანაგებმა ეს უსინიდისო მოჭორილი ამბავი, ისინი დარწუნდებიან, თუ რა ღირსეულნი პირნი ბრძანებულან „დელეგაციის“ წევრნი, მთელი ჩემი როლი ამ საუბრის დროს გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ მე ირ. წერეთელს და კარლო ჩხეიძეს მათივე თხოვნით სრულიად ობიექტიურად გადავეცი ის აზრი, რომელიც აქ თფილისში კავკასიის ჯარის ყრილობამ ერთხმათ გამოიტანა ჯარში ეროვნულ ორგანიზაციების მოწყობის შესახებ. ეს იყო და ეს ეტყობა „დელეგატებს“ არ ეჭაშნიკა, მაგრამ ეს კიდევ არ აძლევდა მათ უფლებას გადალახონ ყოველნაირი საზღვარი. ასეა თუ ისე, უნდა გამოვტყდე, რომ ეს პატარა მაგალითიც ერთხელ კიდევ მარწმუნებს იმაში, რომ ასეთ პირთ არ ძალუძთ გაუძლევს იმ საქმეს, რომელსაც ისინი ეპოტინებიან. მე იმდენათ ღრმათ მრწამს ჩვენი ხალხის დიადი მომავალი და ჩვენი მხედრობის ისტორიული როლი, რომ სრული დაიმედებული ვარ, ასეთ „დელეგატებს“ და მათ ინიციატივას ჩვენი მხედრობა არ მიანდობს თავის ყრილობის, თუ კი ამას დრო და გარემოება მოითხოვს, მოწვევას...

ამხ. სალამით **ევგენი გეგეჭკორი.**

## უ ც ხ ო ე თ ი

გერმანული პრესა ჰოლანდიის წინააღმდეგ.

გერმანეთის პრესა უფრო და უფრო მკაცრ პოზიციას იჭერს ჰოლანდიის წინააღმდეგ, რადგან იგი თავის ნეიტრალიტეტს ცუდათ იცავს ბრიტანეთის მხრითო.

გერმანელთა მიერ რუსულ მანათიანების შესყიდვა.

რუსეთის საბანკო წრეებში ის აზრი გამოითქვა რომ გერმანელების მიერ რუსულ მანეთიანების შესყიდვა ნეიტრალურ სახელმწიფოებში მით უნდა აიხსნას, რომ მათ აზრად ჰქონდათ აგენტების შენახვა და არეულობის მოხდენა რუსეთში, და არა სხვა რამე მოსაზრებები მათ მიერ დაპყრობით ოლქებში.

ამერიკის სესხი მოკავშირეებს.

მაკადუმ განაცხადა სენატის კომისიაში რომ სამი მილიარდი დოლარი სესხი მოკავშირეებს მხოლოდ ოკტომბრამდი ეყოფა და საჭირო იქნება კიდევ ორ მილიარდამდეო.

## რ უ ს ე თ ი.

დენ. კორნილოვის განკარგულება.

სამხრეთ-დასავლეთის მთავარსარდალმა კორნილოვმა ბრძანება გასცა გამოქცეულთა და დეზერტირების გვამებს, რომელნიც დასჯილი იქმნენ, მიამაგრონ პატარა ფიცრები შესაფერის წარწერებით.

პოლიციელებად და ჟანდარმებად ნამყოფი ჯარისკაცები

სამხედრო მინისტრმა დაადგინა: პოლიციელებად და ჟანდარმებად ნამყოფ ჯარის-კაცთა გაგზავნის დროს, ცალკე პარტიებათ მოხდება იგი თუ სამარშო როტებში, შეადგინონ მათთვის ცალკე სიები რომელიც თან უნდა მიყვეს მათ იქ სადაც იგინი იქნებიან დანიშნულნი. ეს დადგენილება იმან გამოიწვია, რომ ყოველგვარი უთანხმოება, რაც ფრონტზე მოხდა, მათ გამოიწვიეს, და სიებიდან არ სჩანდა თუ ისინი გუშინ პოლიციაში მსახურებდენ.

წითელი ჯვრის დანაკლისი დახევის დროს.

მთავარი რწმუნებული წითელი ჯვრის კომისიის სამხრეთ-დასავლეთისა სენატორი ივანიცკი ტელეგრაფით ატყობინებს მთავარ გამგეობას იმ დანაკლისზე, რომელიც ჯარის უკან დახევის დროს მოხდა. ა. ორთქმავალის უქონლობის გამო მთლად დაიღუპენ ხარკინის-გზო რაზმები №№ 170 და 15, მხოლოდ ის გადარჩა, რაც ქარავანით წაიღეს. მეშვიდე № მატარებელი დაიმსხვრა. ტყვეთ იქმნენ წაყვანილნი ექიმები და მოწყალების დები მე-15 რაზმის პერსონალი ფეხით წავიდა, მას შემდეგ რაც სადგური სლობოდკა რკინისგზის მოსამსახურეებმა დასტოვეს. დაჭრილების გადაყვანა მოასწრეს. მოწინავე რაზმებმა სარატოვისა, კიევისა, საატირენოსლავისა და ოდესისამ უკან დახევის დროს შექმნილ პროვოკაციის გამო დაკარგეს ცხენები და ნახევარი ქონება, რომლის ნაწილიც თვით ჯარისგან იქნა მოტაცებული. ქონება, საჩქარო დახევის გამო, სავსებით მიტოვებულ იქმნა.

ბოლოს სენატორი ლვანიცკი მოწმობს, როგორი თავგანწირვით ასრულებდენ თავის მოვალეობას პერსონალი რომელიც უკანასკნელ რიგში მიდიოდა და არცერთ დაჭრილს არ სტოვებდა.

წერილი რედაქ. მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, ვინც კეთილ-ინება და ერთდროული დახმარება აღმოუჩინა ახლათ დაარსებულ, სოფელ დღნორისას (ლეჩხუმის მაზრა) წიგნ-საცავ სამკითხველოს.

აი ეს პირებიც: თითო მან. ტრ. ხუნდაძემ, ს. წერეთელმა, ნ. სვანაძემ. გ. ჰუბაბრიამ, ა. ნიაჟარაძემ, დ. გოცირიძემ გ. მახვილაძემ, ა. კოპაძემ ათათი შაური: ნ. შარაბიძემ, №-მა ხუნდაძემ, ს. რობაქიძემ, ის. ნიკოლაიშვილმა, ჰ. ლორთქიფანიძემ, კ. ქებულაძემ, ნიკოჩინიამ, ს. მახვილაძემ, პ. ბახტურიძემ, მ. მიქაბერიძემ, იოსავამ, ნუნუ ჰეიშვილმა, და სიმ. წერეთელმა. ექვსი შაური კ. კაშიამ სულ შესდგა (15 მ. 30) თუთხმეტი მან. და ექვსი შაური.

სამი მანეთის და ექვსის შაურის წიგნები ვასილ კორბაძემ, სამსონ დათეშიძემ: 12 ნუმერი „ნაკადული“ 5 ნუმ. „ჯეჯილი“სა, ერთი ნუმერი „ნობადი“სა და სილოვანის თხზულებანი 1 ნაწ.

შემომწირველთ, ყველას ულრმეს მადლობას უძღვნი. ს. ახვლედიანი.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხ. ტელეფონი 135 №.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებიით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოქტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**გ. ი. ზოკაიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთეხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

## ქუთაისის სადგურზე

როდესაც მატარებელი მოვიდა თბილისიდან დავკარგე

## რევორვერი

„ნაგანას“ სისტემის № 5099 თუ ვინმემ იპოვის მოიტანოს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

**პოდპორუჩიკი არტემ აბაშიძე.**


## რკინისგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. | 47 | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. | 49 | „ |
| ბათომიდან | — დილით — | 12 ს. | 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. | 42 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. | 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | | „ |
| | დილის — | 9 ს. | 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. | 24 | „ |
| ბათუმიდან | დილის | 10 ს. | 20 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. | 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. | 20 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. | 1 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. | 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დილით — | 3 ს. | 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. | 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. | 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. | 40 | „ |
| ბათუმისაკენ | დღით | 1 ს. | 40 | წ. |


ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო ბანკი

5 ივლისიდან ქ. ქუთაისში ვორონცოვის ქუჩაზე ფ. გაბუნიას სახლში დაიწყო მოქმედება

## ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო ბანკმა

## ახდევინებს:

დახურდავებულ ვექსილში 10 პროც. სპეციალურ ანგარიშით:
ა) პროცენტიანი ქაღალდების გარანტიით 8 პროც.
ბ) საქონლის გარანტიის 8 პროც.

## იხდის

მიმდინარე ანგარიშით 4 ნახ, პროც.-დი.
ფულის მიღება გადით — 5 ნახ. — 7 პროც.


ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ

## მოქალაქენო!

უკანასკნელი საარჩევნო სია 18 ამა ივლისიდან გამოქვეყნებულ იქნება ყველასათვის გადასათვალიერებლათ იმ საარჩევნო უბნებში, სადაც გამოქვეყნებული იყო პირველი საარჩევნო სია.

ის პირნი, ვინც ამ უკანასკნელ სიაში არ არიან შეტანილნი, ან ხმოსანთა არჩევნების მოხდენამდის დაკარგვენ საარჩევნო უფლებას, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ამა ივლისის 26 ს რიცხვამდი, დღის 12 საათიდან 2 მდი, ამომრჩევლებს უფლება აქვთ წარუდგინონ ქალაქის მოურავს! ქალაქის გამგეობის დარბაზში! სია ხმოსნათ ასარჩევ კანდიდატებისა, რომელთაც კენჭის ყრაზე თანხმობა განაცხადეს.

სიაში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 66: თუ სიაში დასახელებულ იქმნა 66 კანდიდატზე მეტი, უკანასკნელნი ანგარიშში არ მიიღებიან.

სიებს ხელს უნდა აწერდეს არა ნაკლებ 33 ამომრჩევლისა.

თითოეულ ამომრჩეველს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთს სახმოსნო კანდიდატთა სიას.

ისწრაფეთ, რომ არ გაუშვათ ვადა კანდიდატთა სიების წარმოდგენისა.

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი.


## ეროვნულ-დემოკრატიული

### პარტიაში ჩაწერა

### შ ე ი ძ ლ ე ბ ა

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.


## ჩვენი ქვეყნის რედაქციას

ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ

გადმოსცა **200** მან. საუკეთესო **პრემიათ** თხზულებისათვის გადმოსცა **200** მან.

(განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.

წერილი უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი. 400—1200 სტრიქონისა.

ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.

## მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.


## დ. ხარაგოული.

კვირას, 23 ივლისს, 1917 წ. ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ 10 პროც. გადაიდება ხარაგაულის სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ.

## გაიმართება დიდი

## სპირნოზა-ს ა ღ ა მ ო

მომენტის შესახებ გ. წერეთელი
დედა და შვილი ი. ჭავჭავაძე
ეროვნული კითხვა ა. თორაძე

დივერტისმენტი

ი. გრიშაშვილის და ლადო მაჭავარიანის მონაწილეობით

სცენები, კუპლეტები „ვაი-ვუის ხმაზე“ და დეპეშები ალეგრა, ლოტარია, ფოსტა, „ბედის კლიტე“ „მეოცე საუკუნის მხეცი მკითხავი და სხ. ცეკვა. დაუკრავს ზურნა და სიმებიანი ორკესტრი. დასასრულ ვახშამი.

**დიასახლისები.** ნ. კიკნაძე, ნ. დეკანოსიძე, ლ. გუნცაძე — **გამგე გრ. მაჭავარიანი**

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**


სტამბა „შრომა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.